IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

სტრატეგიული მიღწევები

2009-2020

შინაარსი

03 IDFI-ის შესახებ

06 2009-2020 წლების IDFI-ის სტრატეგიული მიღწევები

07 კარგი მმართველობა

10 საჯარო ინფორმაციაზე წვდომა და ღია მონაცემები

12 ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP)

14 ადგილობრივი თვითმმართველობა

15 კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები

18 სტრატეგიული კომუნიკაცია და წარსულის შესწავლა

20 მედია, ინტერნეტი და ინოვაციები

21 ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა

23 IDFI-ს პუბლიკაციები

24 საერთაშორისო პუბლიკაციებსა და ორგანიზაციებში შეტანილი წვლილი

25 ქსელის წევრობა

27 პარტნიორობის მემორანდუმები

28 IDFI ტრენინგები

29 IDFI მედიაში

31 IDFI-ის დაფინანსება

32 ჩვენი დონორები

33 IDFI-ის მიერ შექმნილი ელექტრონული რესურსები

IDFI-ის შესახებ

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) არის ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანია საზოგადოების ინფორმირებისა და გაძლიერების ხელშეწყობით, დემოკრატიული მმართველობის უზრუნველყოფა.

დაარსების დღიდან (2009 წელი), IDFI-მ, როგორც დემოკრატიული მმართველობის ხელშეწყობის კუთხით აღიარებულმა ლიდერმა, ფართო აღიარება ჰპოვა საქართველოში, დროთა განმავლობაში საერთაშორისო დონეზეც. IDFI-ის მთავარი სამოქმედო მიმართულებებია: სრულყოფილ ინფორმაციაზე წვდომა, ანალიტიკური საქმიანობის განვითარებითა და ინოვაციური მექანიზმების გამოყენებით, მმართველობის გაუმჯობესება, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა, კორუფციის შემცირება, მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერება, ანგარიშვალდებულების ამაღლება, ინოვაციური მიდგომებისა და ინკლუზიური ზრდის წახალისება.

კვლევითი და სამოქალაქო მონიტორინგის საქმიანობის კომბინაციით, IDFI ცდილობს შემდეგი სტრატეგიული მიზნების მიღწევას:

საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სრულყოფილი ანგარიშების მიწოდების გზით, საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა

ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლების გზით, დემოკრატიული მმართველობის გაძლიერება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე, რაც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო უფლებების დაცვას

პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სამართლიანობაზე, აგრეთვე საყოველთაო კეთილდღეობაზე ორიენტირებული პოლიტიკისა და პრაქტიკის წახალისებით, სამართლიანი საზოგადოების მშენებლობა

IDFI-ის ხედვა

ინფორმირებული
და ძლიერი
საზოგადოება
დემოკრატიული
მმართველობისთვის!

ჩვენი მისია

ჩვენ ვიღწვით ძლიერი, ინკლუზიური საზოგადოების შექმნისთვის. ჩვენ ვიცავთ ადამიანის უფლებებს და ხელს ვუწყობთ დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებას სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებით, რაც გულისხმობს ინფორმაციული ანგარიშებისა და კვლევების მომზადებას, რეკომენდაციების შემუშავებას. დემოკრატიული მმართველობის განმტკიცების მიზნით, ადვოკატირებას ვუწევთ ახალ ინიციატივებს და არსებული პოლიტიკის, კანონებისა და პრაქტიკის რეფორმებს.

2018 და 2019 წლებში, **NGOsource**-მა IDFI-ის აშშ-ის საზოგადოებრივი ორგანიზაციის ეკვივალენტობის სერტიფიკატი მიანიჭა. შედეგად, IDFI შევიდა სპეციალურ სიაში, საიდანაც აშშ-ის გრანტის გამცემ ორგა-ნიზაციებს შეუძლიათ გაეცნონ IDFI-ის ფინანსურ და ორგანიზაციულ გამართულობას და გამარტივებული პროცედურით გადასცენ ორგანიზაციას გრანტი.



2009-2020 წლების IDFI-ის სტრატეგიული მიღწევები

კარგი მმართველობა

- IDFI საქართველოში წარმოადგენს პირველ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას, რომელმაც დაიწყო საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) ალტერნატიული მონიტორინგი. PAR-ის მონიტორინგის ანგარიშში გამოვლენილი ხარვეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები გაიზიარა მთავრობის ადმინისტრაციამ, რომელმაც აიღო PAR-ის ახალი სტრატეგიისა და 2021 - 2022 წლების სამოქმედო გეგმის გაუმჯობესების ვალდებულება და სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება დაიწყო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით.

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგის პროცესში სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ევროკავშირისა და SIDA-ს ფინანსური მხარდაჭერით, IDFI-მ შექმნა ინტერაქტიული ონლაინ პლატფორმა - PARtracker. პლატფორმა აერთიანებს ინფორმაციას საჯარო მმართველობის რეფორმის, მისი განხორციელების შესახებ და უზრუნველყოფს მონიტორინგის პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას რეფორმის განხორციელების შესახებ უკუკავშირის გაზიარების გზით.

- 2019 წელს IDFI–მ, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაციის, Lumnate–ის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოში საფუძველი ჩაუყარა პირველ ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციას კარგი მმართველობის საკითხებზე, სახელწოდებით - „კარგი მმართველობის ფორუმი“ (#GGForum). ყოველწლიური ფორუმი თავს უყრის საერთაშორისო ექსპერტებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, ასევე ჟურნალისტებსა და ანტიკორუფციულ აქტივისტებს, რათა ხელი შეუწყონ დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებას რეგიონული და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით.

კარგი მმართველობის (GG) პირველი ფორუმი:

თარიღი: 29-30 ნოემბერი, 2019

სათაური: კორუფციასთან ბრძოლის ინოვაციური მიდგომების განხილვა

GG ფორუმი 2019 რიცხვებში:

+120 მონაწილე | 38 მომხსენებელი | 17 COUNTRIES | 15 სესია

კარგი მმართველობის (GG) მეორე ფორუმი:

თარიღი: 2 ოქტომბერი, 2020

სათაური: პოლიტიკური კეთილსინდისიერება და არჩევნები: გამოწვევები და ინოვაციური მიდგომები

GG ფორუმი 2020 რიცხვებში:

+80 მონაწილე | 19 მომხსენებელი | 10 ქვეყანა | 5 სესია

- IDFI-ის ადვოკატირების შედეგად, საქართველოს ახალ კონსტიტუციას დაემატა „კარგი ადმინისტრაციის" პრინციპი, რომელიც აისახა კონსტიტუციის მე-18 მუხლში.

- IDFI-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ნაციონალიზაციის პროცესში. ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა მთავრობის ადმინისტრაციას მდგრადი განვითარების მიზნების ინსტიტუციონალიზაციის, მონაცემთა შეგროვებისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების შექმნისა და დანერგვის პროცესში. IDFI აქტიურად იყო ჩართული მდგრადი განვითარების მიზნების ელექტრონული მონიტორინგის სისტემის შექმნაშიც. ორგანიზაციამ მნიშველოვანი საქმიანობა განახორციელა მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ პოლიტიკის დოკუმენტებში ინტეგრაციის მიმართულებითაც.

- 2019 წლიდან, IDFI აქტიურად ახორციელებს საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაციის მონიტორინგს. ორგანიზაცია ასევე ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

- IDFI-მ შექმნა გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების რეიტინგის (TPPR) საერთაშორისო პლატფორმა - www.tpp-rating.org პლატფორმა წარმოადგენს ერთადერთ გლობალურ ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სახელმწიფო შესყიდვების რეგულაციათა შესწავლასა და შეფასებას, შესაბამისი რეიტინგების გამოქვეყნებას და მონაცემების ღია ფორმატში ხელმისაწვდომობას, მათი მარტივად დამუშავებისა და ანალიზის მიზნებისთვის. 2020 წელს, ღია მმართველობის პარტნიორობამ (OGP) TPPR აღიარა, ერთ-ერთ მთავარ წყაროდ სახელმწიფო შესყიდვებში კარგი მმართველობის პრინციპების მონიტორინგის მიმართულებით, IDFI კი საკუთარ პარტნიორ ორგანიზაციად სახლემწიფო შესყიდვების სფეროში. TPPR-ის სამოქალაქო საზოგადოების ქსელი უკვე მოიცავს 40-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებიც გარდა სახლმეწიფო შეყსდივების სიტემათა შეფასებისა აქტიურად თანამშრმლობენ ასევე საერთო ადვოკატირების მიმართულებითაც.

- 2019 წლიდან, IDFI–მ, ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდის (OSI) ფინანსური დახმარებით, ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) თანადაფინანსებით და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, შექმნა ინტერდისციპლინური სასწავლო პროგრამა, რომელიც შედგება 8 პროფესიული მოდულისგან საჯარო მოსამსახურეების, არასამთავრობო და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სტუდენტებისათვის. პროგრამის წარმატებით დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, პროფესიული მოდულები გარდაიქმნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის აკადემიურ კურსებად.

- IDFI წამყვან როლს ასრულებს საქართველოში საჯარო მმართველობის რეფორმის პროცესში. ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელებასა და მონიტორინგს, მათ შორის, „საჯარო სამსახურის შესახებ" და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" ახალი კანონების ისევე, როგორც სხვა დამხმარე კანონმდებლობისა და ინსტრუმენტების მიღებას.

- IDFI-მ წარმატებით გააპროტესტა ის საკანონმდებლო ცვლილების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელთა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მიღმა დატოვებას და მათთვის საჯარო მოხელის სტატუსის ჩამორთმევას.

- 2018 წელს IDFI წარმატებით ადვოკატირებდა ისეთი დამოუკიდებელი კომისიის შექმნას, რომელსაც დაევალებოდა თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების შერჩევა შემდგომი მონიტორინგისთვის.

- IDFI-მ შექმნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელებაც ამჟამად მიმდინარეობს.

- IDFI არის ერთადერთი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც აფასებს საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის (PPD) ხარისხს საკანონმდებლო აქტების შემუშავების პროცესში. ორგანიზაცია ასევე ხელს უწყობს მონაწილეობით საწყისებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების პროცესის დამკვიდრებას საქართველოში. ამ მიზნით, ის ატარებს ტრენინგებსა და ცნობიერების ამაღლების აქტივობებს საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის საკითხზე თბილისსა და რეგიონებში. 2014-2019 წლებში IDFI-მ შეაფასა PPD-ის ხარისხი 37 კანონპროექტის შემუშავების პროცესში და ჩაატარა 200-ზე მეტი ინტერვიუ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან.

- IDFI-მ წამოჭრა საკითხი საქართველოში მაღალი დონის კორუფციასთან დაკავშირებით და საზოგადოების ყურადღება ამ მიმართულებით მიაპყრო. გაწეული ძალისხმევის შედეგად, მაღალი დონის კორუფცია გამოწვევად დასახელდა არაერთ საერთაშორისო პლატფორმაზე, მათ შორის, ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეის 2018 წლის რეზოლუციაში.

- IDFI–ის მიერ მომზადებულმა კვლევებმა და ანგარიშებმა გამოავლინა სავარაუდო კორუფციის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და სხვა გადაცდომების ნიშნები, აგრეთვე სახელმწიფო სახსრების არამართლზომიერი განკარგვის უამრავი შემთხვევა, გამოწვევები ინფრასტრუქტურული პროექტების ეფექტურობასა და ეფექტიანობაში, კორუფციისა და ნეპოტიზმის ფაქტები, პოტენციური დარღვევები სახელმწიფო შესყიდვებში, გამჭვირვალობის ნაკლებობა ახალი კადრების აყვანის პროცესსა და პოლიტიკურ შემოწირულობებში და ა.შ.

საჯარო ინფორმაციაზე წვდომა და ღია მონაცემები

- IDFI–ის მიერ საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის რეგულარული გამოთხოვის, რომელსაც ორგანიზაცია სხვადასხვა პროექტის ფარგლებში უწყებების მიერ საჯარო ინფორმაციის კანონმდებლობის აღსრულების შეფასებისა და მონიტორინგისთვის ახორციელებს, ასევე, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური კომუნიკაციითა და საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით, ინფორმაციის გაზრდილი მოთხოვნების პარალელურად, საქართველოს საჯარო დაწესებულებების მხრიდან მონაცემების გაცემის ზოგადი მაჩვენებელი თითქმის გაორმაგდა (2010 წელს დაფიქსირებული 44%-დან, 2019 წლისთვის 83%-მდე გაიზარდა). ბოლო ათი წლის განმავლობაში, IDFI–მ, საჯარო ინფორმაციის 57,963 მოთხოვნა გაგზავნა, საიდანაც 48,145 მოთხოვნაზე მიიღო პასუხი შესაბამისი საჯარო დაწესებულებიდან. IDFI–მ ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ 10 წლიური ანგარიში მოამზადა. ამ მონაცემებს წლებია წყაროდ იყენებს მრავალი ადგილობრივი და საერთაშორისო დაინტერესებული მხარე, მათ შორის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი. IDFI–მ შექმნა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთა მონაცემთა ბაზა, რომელიც რეგულარულად ახლდება და ამავ-დროულად, საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

- 2020 წელს IDFI მონაცემთა გლობალური ბარომეტრის (GDB) ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური ჰაბი გახდა. GDB წარმოადგენს მრავალი დაინტერესებული მხარის ინიცია-ტივას, რომლის ფარგლებში, საერთო მეთოდოლოგიის მიხედვით, მომზადდება საბაზისო კვლევა. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდება ქვეყნების შედარება ადგილობრივი კანონმდებლობის და პრაქტიკის, მონაცემების ხელმისაწვდომობის, მონაცემების შესაძლებლობების და გამოყენების ინდი-კატორებით.

- IDFI-ის მიერ საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორიის (www.datalab.ge/en) შექმნამ, საჯარო მონაცემების ღია ფორმატში ხელმისაწვდომობის კუთხით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ონლაინ პლატფორმა მომხმარებელს საჯარო პოლიტიკის შესახებ არსებულ ასობით მონაცემთა ბაზაზე შეუზ-ღუდავ წვდომას სთავაზობს. გარდა ამისა, მომხმარებლებს ეძლევათ მონაცემთა გაცნობის, დამუშა-ვებისა და ღია ფორმატში ჩამოტვირთვის, აგრეთვე მარტივი ვიზუალიზაციის შექმისა და გაზიარების საშუალება. 2020 წლის მონაცემებით, პლატფორმაზე ხელმისაწვდომია 1,200-ზე მეტი ღია მონაცემთა ბაზა.

- OGP–ის ფარგლებში აღებული ვალდებულების შესრულების მიზნით, რომელსაც ადვოკატირება სწორედ IDFI-იმ გაუწია, საქართველოს მთავრობამ შექმნა მონაცემთა ერთიანი სამთავრობო პორტალი - www.data.gov.ge, ხოლო საინფორმაციო პლატფორმა - www.opendata.ge - აღიარებულ იქნა, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პირველი და წარმატებული საჯარო ინფორმაციის პლატფორა.

- IDFI-ის წარმატებული ადვოკატირების შედეგად, საქართველოს მთვრობამ მიიღო დადგენილება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესა-ხებ. დადგენილების მიღებამ ხელი შეუწყო საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ახალი სტანდარტის დანერგვას, ამავდროულად, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქვეყანაში საჯარო ინფორ-მაციაზე წვდომის ხარისხი.

- IDFI-ისთან თანამშრომლობით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შექმნა სასამართლო სტატისტიკის მოდული, რომელიც IDFI–ის მიერ შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, სასამართლოს გადაწყვეტილებებზე არსებულ ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს ასახავს სექტორული და სვეტოვანი დიაგრამების სახით.

- 2019 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა IDFI-ის სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა სასამართლოს გადაწყვეტილებების სრული ტექსტის ხელმისაწვდომობას. სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმებით იზღუდებოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ინფორმაციის თავისუფლება.

- IDFI–ის სტრატეგიული სამართალწარმოების შედეგად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიღო პრეცედენტული გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ საჯარო დაწესებულების ოფიციალური ელ. ფოსტით განხორციელებული მიმოწერა ღია, საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს.

- კიდევ ერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება ეხება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ინფორმაცია თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შემოწმების შესახებ წარმოადგენს ღია, საჯარო ინფორმაციას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაუშვებელია საგადასახადო ორგანოში დაცული ნებისმიერი ინფორმაციის საგადასახადო საიდუმლოებად მიჩნევა.

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP)

- IDFI წარმოადგენს ღია მმართველობის პარტნიორობის ერთ-ერთ ლიდერ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს ჩართულობას ღია მმართველობის პარტნიორობაში და ამავდროულად, OGP–ის წევრ სხვა ქვეყნებს სთავაზობს რეკომენდაციებს.

- 2020 წლის აგვისტოში, IDFI–ს ადვოკატირებით და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით აჭარის უმაღლესი საბჭოს ბიურომ დაამტკიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2020-2021 წლების პირველი სამოქმედო გეგმა.

- 2020 წლის მაისში, IDFI–ს ადვოკატირებით აჭარის უმაღლესმა საბჭომ (SCA) შექმნა ღია მმართველობის საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია უმაღლესი საბჭოს წევრებისგან. ღია მმართველობის საბჭომ შექმნა საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. ღია მმართველობის საბჭოს შექმნით, აჭარის უმაღლესმა საბჭომ დანერგა აჭარის რეგიონში OGP-ის პრინციპების განხორციელების ინსტიტუციური საფუძველი.

- 2020 წელს IDFI-სა და ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ადვოკატირების შედეგად შეიქმნა ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც მოიცავს ხელისუფლების სამივე შტოს. აღნიშნულ საბჭოში, არასამთავრობო ორგანიზაციები, წარმოდგენილნი არიან სათათბირო ხმის უფლებით. საბჭოში გადაწყვეტილების მიღება ხდება სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა კუმულატიური უმრავლესობით.

- საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, IDFI–მ შეიმუშავა საჯარო ინფორმაციის მოდული, სადაც ინფორმაცია საპარლამენტო საქმიანობის, კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. IDFI-ის რეკომენდაციის შესაბამისად, 2019 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა შეიმუშავა საკანონმდებლო საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ელექტრონული პლატფორმა, რომელიც აგროვებს მხარდამჭერთა ელექტრონულ ხელმოწერებს პეტიციებისთვის, საკანონმდებლო ინიციატივებისა და კონსტიტუციური კანონპროექტებისთვის.

- IDFI-მ მოამზადა თბილისის პარლამენტის სასახლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე ადაპტირების კონცეფცია, რომელიც ამჟამად ხორციელდება. პარლამენტის ვებ-გვერდი (www.parlament.ge) შესაბამისობაში იქნა W3–ის ხელმისაწვდომობის საერთაშორისო სტანდარტების A დონის სახელმძღვანელო პრინციპებთან (WCAG 2.0) და მაქსიმალურად არის მორგებული PwD მომხმარებლების საჭიროებებს.

- 2013-2018 წლებში IDFI იყო ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის, როგორც ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში ეროვნული თანამშრომლობის მექანიზმის, თანათავმჯდომარე.

- IDFI–ის აქტიური ადვოკატირებით და მონაწილეობით, თბილისში ჩატარდა OGP–ის მეხუთე გლობალური სამიტი. სამიტს ესწრებოდა 2200-ზე მეტი მონაწილე 115 ქვეყნიდან, მათ შორის - მთავრობის წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, კერძო სექტორის, აკადემიის, სამეცნიერო ცენტრების წევრები და სხვა პირები.

- 2018 წელს IDFI–მ გამოიყენა OGP-ის პლატფორმა საერთაშორისო დონეზე OGP-ის სხვა სახელმწიფოების მხარდაჭერის მიზნით. IDFI წარმატებით უჭერდა მხარს ყირგიზეთის მთავრობას, შეედგინა რამდენიმე მნიშვნელოვანი ვალდებულება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით და აესახა ეს ვალდებულებები ეროვნულ სამოქმედო გეგმაში.

- IDFI–ს აქტიური მონაწილეობით, საქართველოში დამკვიდრდა მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგისა და სამოქმედო გეგმის ვალდებულებების თანამშრომლობის საფუძველზე განვითარების საუკეთესო პრაქტიკა. OGP–ის ფარგლებში წარმატებული მიღწევების საფუძველზე, საქართველო 2017 წელს აირჩიეს ღია მმართველობის პარტნიორობის თავმჯდომარე სახელმწიფოდ.

- 2017 წელს IDFI-ს აღმასრულებელი დირექტორი გიორგი კლდიაშვილი აირჩიეს OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრად. OGP-ის მმართველი კომიტეტი წარმოადგენს აღმასრულებელ, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს, რომელიც ავითარებს, ხელს უწყობს და იცავს OGP–ის ღირებულებებს, პრინციპებსა და ინტერესებს.

- 2016 წელს IDFI-ის ადვოკატირების შედეგად, OGP-ის ინიციატივას შეუერთდა თბილისის მერია. IDFI დაეხმარა თბილისის მერიას OGP-ის სამოქმედო გეგმების შემუშავებაში. IDFI–ის რეკომენდაციები სამოქმედო გეგმის ვალდებულებებთან დაკავშირებით გაითვალისწინა მერიაში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა.

- 2015 წელს, საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის თანახმად და IDFI-ის რეკომენდაციების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტმა შექმნა ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. ამ საბჭოს შექმნის იურიდიული საფუძველი ჩამოყალიბებულია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში. ამით, საქართველოს პარლამენტმა შექმნა მდგრადი და ინსტიტუციური მექანიზმი, სადაც პარლამენტის წევრებს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეეძლებათ ითანამშრომლონ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში OGP-ის პრინციპების განხორციელებისთვის.

- IDFI-ის ადვოკატირებისა და მხარდაჭერის შედეგად, საქართველოს პარლამენტი შეუერთდა OGP-ის ინიციატივას და IDFI-ის წარდგენის შემდეგ, იყო პირველი და ამ დროისთვის ერთადერთი პარლამენტი, რომელმაც მოიგო სამოქალაქო საზოგადოების ჯილდო სამოქმედო გეგმის ვალდებულებების თანამშრომლობის საფუძველზე შემუშავებისთვის, მექსიკაში, OGP– ის მე –3 გლობალურ სამიტზე.

ადგილობრივი თვითმმართველობა

- ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის, დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში (USAID GGI), ფინანსური მხარდაჭერითა და IDFI-ს ძალისხმევით, ხუთი მუნიციპალიტეტის (ლაგოდეხი, თელავი, ზუგდიდი, სენაკი და ახალციხე) მერიამ დაამტკიცა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები, რომელთა წარმატებით განხორციელება საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტებს, გააუმჯობესონ მმართველობითი პროცესები, ეფექტიანად განახორციელონ ადგილობრივ დონეზე ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმები, და გაზარდონ საჯარო ეთიკისა და კეთილსინდისიერების სტანდარტები.

- IDFI ასევე, დაეხმარა რვა მუნიციპალიტეტს ღია მონაცემთა პრაქტიკის გაუმჯობესებაში, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ღია მონაცემების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობით (ახალციხისა და ქუთაისის მერიები), საჯარო მოხელეებისთვის ყოვლისმომცველი ღია მონაცემთა სახელმძღვანელოს შემუშავებითა და ღია მონაცემების განკარგვისა და გამოქვეყნების საკითხებზე ადგილობრივი საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლებით (ახალციხე, გორი, ქუთაისი, ლაგოდეხი, ოზურგეთი, სენაკი, თელავი და ზუგდიდის მერიები).

- IDFI-მ და მისმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა [ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი - CTC და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი - MSDC], ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით, შექმნეს საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შეფასების ეროვნული მექანიზმი - www.lsgindex.org (ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი). ყველა მუნიციპალიტეტის პირველი და მეორე შეფასება ჩატარდა 2017 და 2019 წლებისთვის. როგორც 2019 წლის შედეგებმა აჩვენა, მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგი გაუმჯობესდა შვიდი პროცენტით (2017 წლის 21%-დან 28%-მდე, შეფასების 100 პროცენტიანი სკალაზე). ინდექსმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ პროგრესში, რადგან როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური საჯარო დაწესებულებები ითვალისწინებენ ინდექსის მეთოდოლოგიით დადგენილ სტანდარტებსა და კრიტერიუმებს.

- ადგილობრივ დონეზე გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დანერგვის ხელშესაწყობად, IDFI-მ შექმნა ვებგვერდები ქვეყნის 20-ზე მეტი მუნიციპალიტეტისთვის, რომლებიც აღჭურვილია მოქალაქეებთან ურთიერთობისა და მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად საჭირო მექანიზმებით.

კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები

- 2020 წელს, EWMI/PROLoG-ის ფინანსური მხარდაჭერით, IDFI-მ გამოაქვეყნა პირველი ყოვლისმომცველი კვლევა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს შესახებ და განახორციელა შესაბამისი რეკომენდაციების ადვოკატირება. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დაეთანხმა IDFI-ის მიერ შეთავაზებული რეკომენდაციების უმრავლესობას. 2020 წელს პარლამენტმა გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევასთან დაკავშირებული რეკომენდაცია (საკანონმდებლო დონეზე დადგინდა საბჭოს გადაწყვეტილების დასაბუთება და სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა).

- 2020 წელს IDFI-მ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისთვის ინდივიდუალური ანგარიში წარადგინა, რომელიც შემდეგ საკითხებს ეხებოდა: მართლმსაჯულება და სამართლიანი სასამართლოს უფლება; გამოხატვის თავისუფლება/ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. IDFI-ს კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა მიმართულების ხელმძღვანელს მიეცა შესაძლებლობა წინასასესიო შეხვედრაზე გაეროში სხვა ქვეყნების მუდმივი მისიების წარმომადგენლებისთვის გაეცნო სიტუაცია საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ.

- IDFI-ის ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე, 2020 წელს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა ნაწილობრივ გაასაჯაროვა მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური საქმის წინასწარი განხილვის შედეგად მომზადებული დასაბუთებული დასკვნები, რაც დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის გამჭვირვალობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრეცედენტი იყო.

- 2020 წელს IDFI წარმატებით ჩაერთო მთავრობის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესში. IDFI-ს წერილობით მოსაზრებაში დასმული ბევრი საკითხი აისახა სტრატეგიის ახალ პროექტში, რომელიც უახლოეს მომავალში დამტკიცდება.

- 2018-2020 წლებში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, IDFI პარტნიორ ორგანიზაცია EMC-სთან ერთად ახორციელებდა სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგად მომზადდა ორი ჩრდილოვანი ანგარიში, რომელიც ხარისხობრივად აფასებდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებას და მოიცავდა რეკომენდაციებს შემდგომი რეფორმების თაობაზე.

- IDFI ყოველწლიურად აქვეყნებს კვლევას საქართველოში ფარული მიყურადების სამართლებრივი რეგულირებისა და პრაქტიკის შესახებ. 2020 წლის კვლევა დეტალურად მიმოიხილავს გამოძიებისა და კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ფარული მეთოდების გამოყენების მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოსა და არსებულ ხარვეზებს, საერთაშორისო სტანდარტებსა და შეფასებებს, ასევე სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილ ტენდენციებს.

- IDFI-ს საქმიანობის შედეგად საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ აღიარა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გაუმჯობესების საჭიროება და დაიწყო მუშაობა დოკუმენტების განახლებაზე.

- საქართველოს პროკურატურის მიერ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების 2017-2018 წლების მონიტორინგის ანგარიში იყო ამ საკითხზე გამოქვეყნებული პირველი დოკუმენტი, რომლის საჯაროდ განხილვა მოხდა პროკურატურის წარმომადგენლების ჩართულობით - არც სამთავრობო და არც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მანამდე არ განხორციელებულა საქართველოს პროკურატურის მიერ შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტების შესრულების მონიტორინგი და, შესაბამისად, არც მონიტორინგის შედეგების საჯაროდ განხილვა მომხდარა.

- IDFI–ს მიერ ევროკავშირისა და OSGF-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებების შედეგად, საქართველოს პროკურატურის 80-მდე პროკურორმა და პროკურატურის გამომძიებელმა აიმაღლა ცნობიერება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ მიღებული ცოდნა ყოველ-დღიურ საქმიანობაში გამოიყენონ.

- 2019-2020 წლებში IDFI-მ საქართველოში საპროცესო შეთანხმების მექანიზმის შესახებ ჩაატარა ყოვლისმომცველი კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოიკვეთა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები. 2020 წლის 13 მაისს გამართულ საჯარო დისკუსიაზე პროკურატურის წარმომადგენლებმა დაადასტურეს კვლევის შედეგად გამოვლენილი გამოწვევების არსებობა.

- 2020 წლის მაისში IDFI-მ გამოაქვეყნა პროკურატურის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამო-

კიდებულებისა და ცოდნის შესახებ კვლევის შედეგები, რისი პრეცედენტიც მანამდე არ ყოფილა. შედეგები საზოგადოებას წარედგინა, შემდგომ კი მედიის საშუალებით გავრცელდა.

- 2019 წელს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, IDFI-მ პარტნიორ ორგანიზაცია EMC-სთან ერთად მოამზადა მონიტორინგის ანგარიშები მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის შესახებ. ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების დიდი ნაწილი პარლამენტმა გაითვალისწინა სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში: განისაზღვრა დისციპლინური გადაცდომის სახეების კონკრეტული ჩამონათვალი; შეიცვალა დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების წესი და დადგინდა გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა; დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა საკანონმდებლო დონეზე; დისციპლინური სამართალწარმოების საწყის ეტაპებზე განისაზღვრა მტკიცების სტანდარტი.

- 2019 წელს, EWMI/PROLoG-ის ფინანსური მხარდაჭერით, IDFI-მ და მისმა პარტნიორმა ორგანიზაცია ISFED-მა გამოაქვეყნეს პირველი ყოვლისმომცველი კვლევა იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ. კვლევაში წარმოდგენილი რეკომენდაციების დიდი ნაწილი პარლამენტმა გაითვალისწინა სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში: იუსტიციის უმაღლეს სკოლას მიენიჭა იუსტიციის მსმენელთა მისაღები კონკურსის ჩატარების უფლებამოსილება; სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევის უფლებამოსილება მოსამართლეთა კონფერენციას გადაეცა; გაიზარდა სკოლაში სწავლების ხანგრძლივობა; გაიზარდა სკოლის მსმენელის სტიპენდიის ოდენობა.

- 2019 წელს IDFI–მ წარმატებული ადვოკატირება განახორციელა “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” ახალ კანონპროექტში პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლების დავიწროვების წინააღმდეგ, რასაც უარყოფითი გავლენა ექნებოდა გამოხატვის თავისუფლებასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე.

- 2019 წელს IDFI–მ და კოალიციამ “დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის” წარმატებული ადვოკატირება განახორციელეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის შემოღების წინააღმდეგ. გარდა ამისა, მათი ძალისხმევით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისა და წარდგენის პროცედურებში აიკრძალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ წევრის მონაწილეობა, რომელიც თავად არის მოსამართლეობის ერთ-ერთი კანდიდატი.

- 2018 წელს, IDFI–ისა და კოალიციის “დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის” ერთობლივი ადვოკატირების შედეგად, პარლამენტის რეგლამენტმა გაითვალისწინა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ სამუშაო ჯგუფის შექმნა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

- 2018 წელს, IDFI–მ წარადგინა საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი მონიტორინგის ანგარიში და კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს რეკომენდაციებს საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობის გაუმჯობესების მიმართულებით.

- 2014 წელს, IDFI-ს მხარდაჭერით, იუსტიციის სამინისტრომ გაუმჯობესა მამხილებელთა დაცვის მარეგულირებელი კანონდებლობა.

სტრატეგიული კომუნიკაცია და წარსულის შესწავლა

- COVID-19 პანდემიის დროს IDFI–მ შეაფასა სახელმწიფო არქივების ღიაობა და ხელმისაწვდომობა საგანგებო მდგომარეობის დროს და გამოავლინა საუკეთესო და ყველაზე ცუდი საერთაშორისო პრაქტიკა.

- პარტნიორებთან ერთად საქართველოში (საქართველოს მემორიალი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ეროვნული არქივი) და მის ფარგლებს გარეთ (საერთაშორისო საზოგადოების მემორიალი, ეროვნული უსაფრთხოების არქივი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში, პოლონეთის ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტი), IDFI ახორციელებს ტოტალიტარული რეჟიმების დანაშაულის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიებს.

- 2020 წელს, IDFI–მ გააფართოვა თავისი საქმიანობა დეზინფორმაციის კვლევების მიმართულებით. IDFI–მ გამოაქვეყნა მრავალი სამეცნიერო სტატია და წამოიწყო ადვოკატირების კამპანია საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა საარსებო შემწეობის გაზრდის მიზნით.

- IDFI მეხსიერების კვლევების საერთაშორისო პლატფორმის - The Sites of Conscience წევრი გახდა.

- IDFI–მ, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდის (OSI) ფინანსური მხარდაჭერით, გამოსცა მემორიალური ალბომები საქართველოს პირველი რესპუბლიკის ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძისა და ბენიამინის (ბენია) ჩხიკვიშვილის შესახებ.

- 2019 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა IDFI-ის სარჩელი სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის წინააღმდეგ. სასამართლომ მოპასუხე მხარეს დააკისრა საარქივო დოკუმენტებზე წვდომის მოთხოვნით მიღებული ყველა განაცხადისა და შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის გაცემის ვალდებულება.

- 2017 წელს, ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდის (OSI) ფინანსური მხარდაჭერით, IDFI–მ დაიწყო ღია არქივების პროექტი - http://open-archives.org/ - სახელმწიფო არქივების ღიაობის საერთაშორისო რეიტინგი. 2017 წელს მეთოდოლოგია გამოყენებულ იქნა 20 ყოფილი არქივის, ასევე, ყოფილი საბჭოთა კავშირის 10 ქვეყანაში საარქივო კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაფასებლად. 2019 წელს პროექტი გაფართოვდა და მოიცვა 8 დამატებითი პოსტსაბჭოთა და ყოფილი აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყანა. შედეგად, სულ შეფასდა 36 არქივი.

- IDFI გახდა FET Time Machine Flagship-ის პარტნიორი და დაიწყო თანამშრომლობა EURBICA-სთან, საარქივო კვლევების საერთაშორისო პლატფორმასთან და ევროპის საარქივო არეალთან.

- ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისისა და საქართველოში შვეიცარიის

საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით და სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან თანამშრომლობით, IDFI–მ შეაგროვა ინფორმაცია და საარქივო მასალები და შექმნა ორენოვანი (ქართული და რუსული) სტალინის რეპრესიების მსხვერპლთა მონაცემთა ბაზა. 3,616 პირზე ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე.

- IDFI–ის საადვოკატო კამპანიის შემდეგ, სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ აღდგენილი და რეაბილიტირებული იქნა ყოფილი №1 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაცული უნიკალური არქივი. არქივში შეიტანეს დოკუმენტები პატიმრებისა და ციხის სისტემაში მომუშავეთა შესახებ, აგრეთვე მნიშვნელოვანი ჩანაწერები საქართველოს XX საუკუნის ისტორიის შესახებ.

- IDFI-ის უშუალო მონაწილეობით, საქართველოს ყოფილი კომუნისტური პარტიის არქივი განადგურებისაგან გადარჩა და მოდერნიზდა/გაციფრულდა.

- IDFI-ის საქმიანობის შედეგად, მოხდა საქართველოს ყოფილი უსაფრთხოების სახელმწიფო კომიტეტის (KGB) არქივის დეკლასიფიკაცია და გაციფრება.

მედია, ინტერნეტი და ინოვაციები

- IDFI-ის ადვოკატირების შედეგად შეჩერდა „ინფორმაციის უსაფრთხოების შესახებ“ კანონში იმ სადავო ცვლილებების მიღება, რომლებიც უსაფრთხოების სამსახურებს ანიჭებდა კიბერუსაფრთხოების სფეროში კოორდინაციის, ზედამხედველობისა და რეგულირების უფლებამოსილებას.

- IDFI-ის ადვოკატირებისა და რეკომენდაციების შედეგად, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და შეუზღუდავი გამოყენება აღიარებულ იქნა საქართველოს მოქალაქეების ფუნდამენტურ უფლებად. კონსტიტუციის ახალი ვერსია ძალაში 2018 წლის დეკემბერში შევიდა.

- IDFI-მ ციფრული წიგნიერების ამაღლების მიზნით, შეიმუშავა სხვადასხვა საინფორმაციო მასალა და ჩაატარა ცნობიერების ამაღლების კამპანიები. მაგალითად, IDFI-მ მოამზადა ინტერაქტიული სახელმძღვანელოები და ვიზუალიზაციები, სადაც მოცემულია პრაქტიკული და სასარგებლო ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: როგორ შეუძლიათ ინტერნეტის მომხმარებლებს დაიცვან პერსონალური ინფორმაცია ინტერნეტში, თანამედროვე პროგრამები და აპლიკაციები სახელმწიფოს მხრიდან მიყურადების ასარიდებლად, ციფრული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ძირითადი რჩევები, მშობლებისთვის ბავშვების ონლაინ დაცვის მთავარი ინსტრუმენტები და სხვა მსგავსი საკითხები.

- საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების სტრატეგიული მიზნის ფარგლებში, IDFI მონაწილეობდა საქართველოს ელექტრონული მმართველობის სტრატეგიის შემუშავებაში და წარმატებით გაუწია ადვოკატირება მოქალაქეთა ელექტრონული პეტიციის პლატფორმის შექმნას (https://ichange.gov.ge) ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში.

- IDFI–ის რეკომენდაციების გათვალისწინებით, მიღებულ იქნა მედიაზე ორიენტირებული ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სახელმწიფო პოლიტიკა და სტრატეგია. ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ IDFI-ს მადლობის სიგელი გადასცა ამ პროცესში გაწეული დახმარებისთვის.



ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა

IDFI–მ წარმოადგინა მრავალი ანალიტიკური ნაშრომი სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე, რაც ინტერესის საგანს წარმოადგენს საზოგადოებისა და მთავრობისთვის. აღნიშნულს საფუძველზე, IDFI-მ შეიმუშავა რეკომენდაციები ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესების მიზნით.

IDFI-ის რეკომენდაციებმა რიგ შემთხვევებში გავლენა მოახდინა სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების ფორმირებაზე. მაგალითად:

- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა შეიცვალა მიზნობრივ პროგრამით, დიფერენცირებული პაკეტებით. ამის შედეგად, პრიორიტეტული გახდა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები.

- მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსი მკაფიოდ დადგენილია კანონმდებლობაში და ამის შემდეგ მშობლებმა დაიწყეს გარკვეული სოციალური შეღავათების მიღება.

- 2016 წლის თებერვალში IDFI–მ მოაწყო საერთაშორისო ფორუმი ”საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები”. ფორუმის მიზანი იყო პოლიტიკოსების, დიპლომატების, აკადემიკოსების, ექსპერტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის დიალოგისთვის პლატფორმის შექმნა, საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების პროცესის შეფასება და თანდართული გამოწვევის ანალიზი. ფორუმი გახსნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და მას ესწრებოდნენ სახელმწიფო მოხელეები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ფორუმი ჩატარდა ბრემენის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის ”სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება” ფარგლებში.

- 2015-2016 წლებში, IDFI-მ ორგანიზება გაუკეთა ხუთ საჯარო ლექციას საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში (ბათუმი, ქუთაისი, თელავი, ახალციხე, თბილისი); მოაწყო ხუთი დისკუსია, ჩაატარა კონკურსი ანალიტიკოსებისთვის, რომლებიც წერდნენ სტატიებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ; და შექმნა ორენოვანი ბლოგპოსტი „საქართველო 2020“.

IDFI-ს პუბლიკაციები

IDFI-ის გუნდმა ხარისხიანი კვლევითი დოკუმენტების შექმნისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების მიზნით მნიშვნელოვანი შრომა გასწია რითა წვლილი შეიტანა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ დემოკრატიის ხარისხის ამაღლებაში, ამასთანავე, ხელი შეუწყო ეკონომიკურ განვითარებასა და სოციალურ კეთილდღეობას.

წლების განმავლობაში, სტრატეგიული თემატური მიმართულებების შესაბამისად, IDFI–მ მოამზადა 2,115 პუბლიკაცია, მათ შორის - პოლიტიკისა და კვლევის დოკუმენტები, სტატიები, ვიზუალიზაციები, ბლოგ-პოსტები, ანგარიშები და სიახლეები.

საერთაშორისო პუბლიკაციებსა და ორგანიზაციებში შეტანილი წვლილი

- IDFI 2012 წლიდან აწვდის ინფორმაციას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს საქართველოს ანგარიშისთვის.

- 2013 წლიდან IDFI არის Freedom House-ის ინტერნეტზე გავისუფლების ანგარიშის დამხმარე ავტორი.

- IDFI-მ World Wide Web Foundation-ის Open Data Barometer–ს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს შესახებ.

- IDFI-ის შეფასებები და რეკომენდაციები აისახა OECD-ACN- ის მონიტორინგის ანგარიშის მე-2, მე-3 და მე-4 რაუნდის შეფასებებში.

- IDFI მონაწილეობდა კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მონიტორინგის ანგარიშის მესამე და მეოთხე რაუნდის შეფასებებში.

- IDFI-ის სამმა ექსპერტმა „მსოფლიო სამართლის პროექტის" კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის (2017, 2020) შექმნაში მიიღო მონაწილეობა.

- IDFI-მ ასევე მონაწილეობა მიიღო მმართველობის ხარისხის ექსპერტთა გამოკითხვაში, რომელიც ჩატარდა გოტენბურგის უნივერსიტეტის მმართველობის ხარისხის ინსტიტუტის მიერ.

- IDFI-ის ექსპერტმა წვლილი შეიტანა მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის ეროვნულ დონეზე მონიტორინგის საპილოტე ინიციატივაში.

- IDFI-ის ექსპერტმა მონაწილეობა მიიღო ბერთელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსის (BTI) 2018 წლის ანგარიშის შექმნაში, რომელიც 129 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, აფასებს დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკისკენ სწრაფვასა და მმართველობის ხარისხს.

- IDFI-ის ექსპერტი გახლდათ გოტენბურგის უნივერსიტეტის (პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი) პროექტის - დემოკრატიული სახესხვაობების (V-Dem) ქვეყნის ექსპერტი.

ქსელის წევრობა

IDFI წარმატებით ახორციელებს ადვოკატირებას სხვადასხვა კოალიციასა და ქსელში წევრობით. IDFI გახლავთ შემდეგი კოალიციების წევრი:

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარების, მათ შორის თანამშრომლობის, საჯარო ხელისუფლებასთან მათი დიალოგისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზნების მიღწევის ხელშეწყობა ექვს პარტნიორ ქვეყანაში.

ინფორმაციის თავისუფლების ადვოკატთა ქსელი (FOIAnet) - ინფორმაციის გაზიარების საერთაშორისო ქსელი, რომელიც აერთიანებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებაზე მომუშავე ორგანიზაციებსა და ინდივიდებს.

გაეროს გლობალური შეთანხმება – ნებაყოფლობითი საერთაშორისო ინიციატივა, რომელიც დაფუძნებულია კერძო კომპანიების/ორგანიზაციების ვალდებულებებზე, განახორციელონ უნივერსალური მდგრადობის პრინციპები და მიიღონ ზომები გაეროს მიზნების მისაღწევად.

TransparenCEE network - არის არასამთავრობო, IT და მედია ორგანიზაციების გაერთიანება, რომელიც ტექნოლოგიების გამოყენებით ხელს უწყობს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მმართველობის პრინციპების გაუმჯობესებას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.. ქსელი აერთიანებს 100-მდე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას.

UN Convention Against Corruption Coalition – 100-ზე მეტ ქვეყანაში 350-ზე მეტი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის (სამოქალაქო საზოგადოების) გლობალური ქსელი, რომლის მიზანიც არის, ხელი შეუწყოს გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის რატიფიცირებას, განხორციელებას და მონიტორინგს.

Publish What You Pay (PWYP) - ერთადერთი გლობალური მოძრაობა, რომელიც მუშაობს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ნავთობიდან, გაზიდან და მოპოვებითი მრეწველობიდან მიღებულმა შემოსავალმა წვლილი შეიტანოს მოქალაქეთა ცხოვრების გაუმჯობესებაში.

Coalition for Euro-Atlantic Georgia – 20 წევრი ორგანიზაციისგან შემდგარი კოალიცია, რომელიც ხელს უწყობს თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას, სადაც ადამიანის უფლებები სათანადოდ არის დაცული და ინსტიტუციები ეფექტურად ფუნქციონირებენ.

Internet Freedom Platform - შედგება 9 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისგან აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებიდან. ქსელი შეიქმნა ინტერნეტსივრცეში გამოხატვის თავისუფლების, ინფორმაციის მიმოცვლისა და შეკრების ხელშეწყობის მიზნით.

ეკონომიკური პოლიტიკის ადვოკატირების კოალიცია - აერთიანებს 58 ორგანიზაციას და ხელს უწყობს ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას მისი წევრი ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევითა და სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის კონსტრუქციული დიალოგის მეშვეობით.

Anti-Corruption Interagency Coordination Council of Georgia - ინსტიტუტი, რომელიც შექმნილია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. მისი ფუნქციებია ქვეყანაში ანტიკორუფციული ღონისძიებების კოორდინაცია, ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლება და მათი შესრულების კონტროლი, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ანგარიშგების კონტროლი, შესაბამისი საკანონმდებლო მოქმედებების ინიცირება და რეკომენდაციების მომზადება.

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის - მიზანია მიმდინარე სასამართლოს რეფორმების მონიტორინგისა და დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლოსთვის ადვოკატირების პროცესში პროფესიული იურიდიული ასოციაციების, იურიდიული უფლებების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს და პროფესიული ასოციაციების ძალისხმევის გაერთიანება.

კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის – მიზნად ისახავს მედიის გარემოს გაუმჯობესებას და მედიის მფლობელებისა და ჟურნალისტების ინტერესების დაცვას.

#KeepItOn - კამპანია ინტერნეტის თავისუფლებისა და შეზღუდვის შესახებ, რომელიც აერთიანებს ათობით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებიც მუშაობენ ინტერნეტის თავისუფლებისა და ვირტუალურ სივრცეში გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე.

Time Machine FET Flagship Consortium - მიზნად ისახავს დიდი მასშტაბის სიმულატორის აშენებას, რომელიც მოიცავს 2000 წლის ევროპულ ისტორიას, მუზეუმებიდან არქივებისა და დიდი კოლექციების ციფრულ ინფორმაციულ სისტემად გარდაქმნას.

The Sites of Conscience - ერთადერთი ქსელი მსოფლიოში, რომელშიც 275-ზე მეტი წევრია 65 ქვეყნიდან. კოალიცია ინსტიტუტების შესაძლებლობებს ავითარებს გრანტების, ქსელის, ტრენინგის, გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმებისა და ადვოკატირების გზით.

პარტნიორობის მემორანდუმები

IDFI–იმ ხელი მოაწერა პარტნიორობის მემორანდუმს 20–ზე მეტ უმაღლეს სასწავლებელთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან და ადგილობრივ და საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მათ შორის:

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს უნივერსიტეტი
- შავის ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
- საერთაშორისო საზოგადოება - მემორიალი
- ქართული საზოგადოება - მემორიალი
- ესტონეთის ელექტრონული მმართველობის აკადემია
- ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტი ვარშავაში
- ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია - საქართველო
- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო
- საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
- ციფრული მაუწყებლობის სააგენტო
- 18 ორგანიზაციისგან, მათ შორის IDFI-ისგან შემდგარი სამოქალაქო საზოგადოების ქსელი, რომლებმაც ხელი მოაწერეს დეკლარაციას გამჭვირვალობის შესახებ.
- ერთობლივი მემორანდუმი საერთაშორისო კვლევისა და გაცვლის საბჭოსთან (IREX), სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან (PSDA) და საქართველოს ბიბლიოთეკების ასოციაციასთან (GLA)
- არაძალადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტი
- პოსტსაბჭოთა კვლევების ცენტრი
- გადასახადების გადამხდელთა კავშირი
- ერთობლივი მემორანდუმი სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან, რუსეთის, აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიული კვლევების ცენტრთან (ვირჯინიის უნივერსიტეტი, აშშ), ტორონტოს უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტთან (კანადა) და აღმოსავლეთ ევროპის კვლევების დეპარტამენტთან, ბოხუმის რურის უნივერსიტეტი (გერმანია).

IDFI-ის ტრენინგები

2009 წლიდან, IDFI-იმ 4,750-ზე მეტი საჯარო მოხელესა და 2,050-მდე ჟურნალისტს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელს, სტუდენტსა და მოსწავლეს ტრენინგი ჩაუტარა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ღია მონაცემების გამოყენების, ელექტრონული მმართველობის, სახელმწიფო შესყიდვების, ელექტრონული მონაწილეობის, მუნიციპალური ვებგვერდების შინაარსის, საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის, გენდერისა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის, ადგილობრივი მმართველობისა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საკითხებზე.



IDFI მედიაში

IDFI-ის მისიაა ხელი შეუწყოს დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებას საქართველოში, რაც, უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია მედიაზე. ამიტომაც, ერთ-ერთი მიზანს წარმოადგენს ჟურნალისტებთან პარტნიორობის ჩამოყალიბება. წინა წლების მსგავსად, 2020 წელს IDFI-ის ერთ-ერთ ამოცანას შეადგენდა საზოგადოების ინფორმირება საქართველოს ამჟამინდელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარების შესახებ.

IDFI-ის გაშუქების სტატისტიკა მედიაში

ონლაინ და ბეჭდური მედია

13 300 – ახალი ამბები და ანალიტიკური სტატიები

ახალი ამბები და ანალიტიკური სტატიები

11 080 – რეპორტაჟი და პირდაპირი ტრანსლაცია

სამოქალაქო აუდიტის ცხელი ხაზი

მთავრობის ზედამხედველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მიზნით, 2019 წელს შეიქმნა სამოქალაქო კონტროლის ცხელი ხაზი. ნებისმიერ მოქალაქეს (მათ შორის აქტივისტებს, ჟურნალისტებს, ბიზნესის წარმომადგენლებს და ა.შ.) შეუძლია აცნობოს IDFI-ის (მათ შორის ანონიმურად) გუნდს საჯარო სექტორში შესაძლო დარღვევების შესახებ, საჯარო ფინანსების არასწორი და უკანონო განკარგვის, შესაძლო კორუფციის შემთხვევების, თანამდებობის პირთა მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის, ნეპოტიზმის, საჯარო სექტორში ინტერესთა კონფლიქტისა და სხვა მსგავსი შემთხვევების შესახებ. მიღებული შეტყობინებების საფუძველზე, IDFI ამოწმებს და იკვლევს ფაქტს და, საჭიროების შემთხვევაში, ითხოვს საჯარო ინფორმაციას შესაბამისი საჯარო დაწესებულებიდან, შემდგომ კი აანალიზებს მოთხოვნის შესაბამისად მიღებულ საჯარო ინფორმაციას. დარღვევების დადასტურების შემთხვევაში, IDFI ავრცელებს ინფორმაციას ან რეაგირებისთვის მიმართავს კონკრეტულ საჯარო დაწესებულებებს. 2019 წლიდან, IDFI–მ მიიღო და გააანალიზა ცხელი ხაზის საშუალებით წარმოდგენილი 70-მდე შეტყობინება.

კონსულტაციები და უფასო იურიდიული დახმარება

IDFI კონსულტაციებსა და უფასო იურიდიულ დახმარებას უწევს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს (განსაკუთრებით მედიის, აკადემიის, კერძო სექტორის წარმომადგენლებს, სტუდენტებს და ასევე ფართო საზოგადოებას) საჯარო მონაცემების ხელმისაწვდომობის, სახელმწიფო შესყიდვების, კარგი მმართველობის საკითხების, ასევე კანონის უზენაესობის, საარქივო დოკუმენტებზე წვდომის შესახებ. საშუალოდ, IDFI ყოველწლიურად 300-მდე ასეთ კონსულტაციასა და უფასო იურიდიულ დახმარებას გასწევს.

IDFI-ის დაფინანსება

IDFI იღებს დაფინანსებას სხვადასხვა წყაროდან, როგორებიცაა საერთაშორისო ფონდები, უცხო ქვეყნის მთავრობები, საერთაშორისო ან/და ადგილობრივი ორგანიზაციები და ინსტიტუტები, კერძო კომპანიები და ფიზიკური პირები. ორგანიზაციის დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაცია საჯაროა. გამჭვირვალობის მიზნით, IDFI აქტიურად აქვეყნებს ინფორმაციას პროექტებისა და მათი დაფინანსების შესახებ. Transferify-ის მიერ IDFI მუდმივად დასახელებულია ფინანსურად ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალე ორგანიზაციად (მსოფლიოს მასშტაბით 200+ კვლევით ცენტრს შორის).

IDFI-ს ბიუჯეტი ფისკალური წლის მიხედვით:



ჩვენი დონორები

- აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)
- ევროკავშირი (EU)
- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
- შვედეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SIDA)
- აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიურო
- UK Aid
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო
- ამერიკის საელჩო საქართველოში
- შვეიცარიის საელჩო საქართველოში
- ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
- ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში და სომხეთში
- ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო
- ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი
- აზიის განვითარების ბანკი (ADB)
- Hivos
- Luminate
- ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდი (OSIBF)
- ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)
- ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი (EPF)
- ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისი
- DVV International
- ფინეთის აკადემია აღმოსავლეთ ფინეთის უნივერსიტეტის მეშვეობით
- ეროვნული უსაფრთხოების არქივი / ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი
- მაგთიკომი
- Counterpart International
- არაკომერციული სამართლის საერთაშორისო ცენტრი (ICNL)

IDFI-ის მიერ შექმნილი ელექტრონული რესურსები

ხელმისაწვდომია www.idfi.ge-ზე

- მდგრადი განვითარების მიზნები და საქართველო
- პარლამენტის სახელმძღვანელო
- ღია მმართველობის პარტნიორობა
- თანამდებობის პირების მიერ დეკლარირებული შემოსავალი
- ინფორმაციის თავისუფლების ოფიცრების მონაცემთა ბაზა
- კიბერ უსაფრთხოება
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მონიტორინგი
- ინფორმაციის თავისუფლების სტატისტიკა საქართველოში

ვებგვერდები

ხელმისაწვდომია www.idfi.ge-ზე

- საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორია – www.datalab.ge
- გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების რეიტინი – www.tpp-rating.org
- გამჭვირვალე არქივები – www.Open-Archives.org
- ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი – www.lsgindex.org
- საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა – www.OpenData.ge
- DAMOUKIDEBLOBA.COM – www.damoukidebloba.ge/
- საარქივო დოკუმენტების ელექტრონული მონაცემთა ბაზა – www.idfi.ge/archive
- ინტერნეტ თავისუფლების პლატფორმა – www.freedomtointernet.com
- სასამართლო სტატისტიკა - www.idfi.ge/en/court_statistics
- საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ელექტრონული პლატფორმა - www.partracker.ge
- კორუფციასთან მებრძოლთა ჰაბი - www.anticorruptionhub.net

სოციალური ქსელები:

@IDFI.official – 29, 976 მოწონება

@IDFIGeorgia – 1, 356 გამომწერი

IDFIGeorgia – 54 გამომწერი

საკონტაქტო ინფორმაცია:

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ტ. შევჩენკოს 20, 0108, თბილისი, საქართველო

+995 32 292 15 14

info@idfi.ge

www.IDFI.ge